| | ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; |
| | ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; |
| | ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. |

| |
|--|
| ა(ა)იპ – სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა და ახალი ადმინისტრაციული შენობით უზრუნველყოფა. |
|--|

| | |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ – სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დასაქმებული ადმინისტრაციული და |
|--------------------|---|



საადმინისტრაციო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში

სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1380-ი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს.

| პროგრამის დასახელება | კოდი | საჯარო სკოლების დაფინანსება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|-----------------------------|----------------------------------|
| | 04 02 | | 923,8 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან სოფელში და სოფლიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლის შესაბამისად მოწონებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებების დელეგირების თაობაზე გასაფორმებელი ტიპური ხელშეკრულება და შესაბამისად, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა. აგრეთვე, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით განისაზღვრა გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მასწავლებელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების დონის ამაღლება. რეაბილიტირებული საჯარო სკოლები. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | განათლების ღონისძიებების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|-----------------------------------|----------------------------------|
| | 04 04 | | 47,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა მოიცავს:</p> <p>ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; საგანმანათლებლო ექსკურსიებში მონაწილეობას; სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების ბილეთების შეძენას; სახელოვნებო სფეროში მაღალი რანგის პროფესიონალი ხელოვანების მოწვევას და მასტერ კლასების ჩატარებას; კლასიკური და ხალხური მუსიკალური ფესტივალების გამართვას; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას; საცნობარო ბუკლეტებისა და სიგელების დამზადებას;</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება წარმატებული მოსწავლეების წახალისება. მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. მათი პატრიოტული სულისკვეთებთ აღზრდა და ეროვნული ცნობიერების ამაღლება;</p> <p>საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.</p> <p>კლასიკური და საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია და ხელოვნების ამ დარგით მოზარდი თაობის დაინტერესება</p> | | |



მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ათასი ლარი

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 წლის დაზუსტებული გეგმა |
|--------------------|---|-----------------------------|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1747,3 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 781,1 |
| 05 01 01 | სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა | 390,0 |
| 05 01 02 | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 219,0 |
| 05 01 03 | სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა | 15,0 |
| 05 01 04 | სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა | 157,1 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 863,6 |
| 05 02 01 | მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 490,8 |
| 05 02 02 | ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში | 208,5 |
| 05 02 03 | საბავშვო სამხატვრო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა | 0,0 |
| 05 02 04 | კულტურული ღონისძიებების პროგრამა | 89,0 |
| 05 02 06 | კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა | 128,3 |
| 05 03 | ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა | 18,5 |
| 05 04 | მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და სასფლოების მოვლა-პატრონობის პროგრამა | 0,0 |
| 05 05 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 50,0 |



| | | |
|-------|-------------------------------------|------|
| 05 06 | საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა | 34,0 |
|-------|-------------------------------------|------|

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|---|----------------------------------|
| | 05 01 01 | | 390,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>სასპორტო გაერთიანება აერთიანებს 12 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (57ბავშვი); კრივი (66 ბავშვი); რაგბი (19 ბავშვი); ხელბურთი (15 ბავშვი);მაგიდის ჩოგბურთი 22 კარატე (58 ბავშვი); ჭადრაკი (43 ბავშვი); კალათბურთი (54 ბავშვი) ძიუდო 63 ბავშვი);ტაეკვანდო(42 ბავშვი); მკლავჭიდი (7ბავშვი)და ფუტზალი (11ბავშვი) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 452 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ სასპორტო გაერთიანების სპორტის სასახლის დარბაზში,სპორტ სკოლის დარბაზებში და დარბაზების უკმარისობის გამო დაქირავებულია №1 საჯარო სკოლის დარბაზი. ასევე ირიცხება 18 წელს ზემოთ მოქმედი 22 სპორტსმენი. დასაქმებულია ჯამში 56 ადამიანი (მათ შორის 3 ადამიანი შტატგარეშე) ტექნიკური, ადმინისტრაციული პერსონალი და 23 მწვრთნელ-მასწავლებელი. სასპორტო გაერთიანების აღსაზრდელები პერიოდულად, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> | | |
| ქვეპროგრამის მიზანია: | <p>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</p> <p>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</p> <p>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|---|----------------------------------|
| | 05 01 02 | | 219,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ – სენაკის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო კლუბი“. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ფეხბურთში. სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება ნაკრები გუნდებისათვის, თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვა (2020-2023) წწ. პროგრამის /ქვეპროგრამის დასაბუთება: შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება, ბავშვთა რაოდენობის გაზრდა, მწვრთნელთა მომზადება, ტრენინგის გავლა და ლიცენზიის კატეგორიების მოპოვება-შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას.</p> <p>პროგრამის /ქვეპროგრამის აღწერა: ასაკობრივი ჯგუფები, მოსამზადებელი ჯგუფები, გუნდი „ეგრისი“-ს დაკომპლექტება, განვითარება, ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის მომზადება.</p> | | |



| | |
|--------------------|---|
| | <p>მოსალოდნელი შედეგები: ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ქართული ფეხბურთის განვითარება და გამორჩეული ბავშვების მიწოდება საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, საფეხბურთო კლუბი „ეგრისი“-ს დაკომპლექტება ადგილობრივი აღსაზრდელებით.</p> <p>შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები: საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელთა გუნდი „ეგრისისა“ და ასაკობრივი ჯგუფების მიერ სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის შედეგად დაკავებული ადგილები. საანგარიშო პერიოდში ბავშვთა დაინტერესება და ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში ფეხბურთის განვითარებისათვის.</p> |
| | <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ბავშვთა, ჭაბუკთა საფეხბურთო გუნდებისა და მოთამაშეების ოსტატობის დონის ამაღლება, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული მოთამაშეების შერჩევა. გათამაშების მიხედვით გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი | საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელთა გუნდი „ეგრისი“-სა და ასაკობრივი ჯგუფების მიერ ტურნირებში მონაწილეობის შედეგად დაკავებული ადგილები |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|--|----------|---|------------------------------------|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | 05 01 03 | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | 15,0 |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე მოყვარული სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი ჯილდოებითა და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>საანგარიშო წლის მანძილზე წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, მოყვარულთა ფეხბურთის ლიგისა და ევროპის სპორტული კვირეულის სენაკის მუნიციპალური თამაშების ჩატარება-ორგანიზება და გამარჯვებულებისათვის რეგიონალურ და ზონალურ ეტაპებზე ტრანსპორტირებაში და ფორმებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.</p> | |
| მოსალოდნელი შედეგი | | მონაწილეთა ჩართულობის მზარდი მაჩვენებელი, ჯანსაღი ცხოვრების წესის კიდევ უფრო პოპულარიზაცია. | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------|----------|--|----------------------------------|
| | 05 01 04 | | ლარში 157,1 |



| | |
|--|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერია |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს ზ. ფაჩულის სახელობის კალათბურთის მოედნის რეაბილიტაციას. |
| მოსალოდნელი შედეგი | კმაყოფილი მოსახლეობა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|--|---|---|------------------------------------|
| | 05 02 01 | | 490,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა გულისხმობს ცენტრში ფოლკლორის, ტრადიციული და თანამედროვე ქორეოგრაფიის, ლიტერატურის, სანახაობითი და სადადგმო ხელოვნების, აუდიო-ვიზუალური, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო, სასოფლო-საკლუბო, კულტურული და ეკო-ტურიზმის სფეროების პოპულარიზაციის ხელშეწყობას, მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ კონცერტების მოწყობას, ფესტივალებზე მონაწილეობის მიღებას, საინფორმაციო უზრუნველყოფას სოციალური ქსელით, გაზეთით, ტელევიზიით და სხვა ღონისძიებას.</p> <p>ცენტრში ფუნქციონირებს სულ 15 ბიბლიოთეკა. აქედან 1 საჯარო, 14 განთავსებულია სხვადასხვა სოფლებში. ბიბლიოთეკები ემსახურებიან საშუალოდ წელიწადში 6527 მკითხველს. 2018-19 წლის აღწერა-ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით სულ წიგნადი ფონდის საცალო რაოდენობა შეადგენს 153473 ცალს. სულ წიგნადი ფონდის ღირებულება შეადგენს 344668,98 ლარს. 2017-2018 წელს შექმნილია 7700 ლარის ღირებულების წიგნი, 2019 წლისთვის დაგეგმილია 4500 ლარის ოდენობის წიგნის შექმნა, 2020-2023 წლებში ვვარაუდობთ 18000 ლარის ღირებულების წიგნების შექმნას. არსებული ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოძველებულია, საჭიროებს ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას, სამკითხველო დარბაზების მოწესრიგებას, განსაკუთრებით სოფლებში.</p> <p>მიზანშეწონილია ელექტრონული ბიბლიოთეკის დანერგვა. საჭიროება მოითხოვს მოსახლეობაში ჩატარდეს პროპაგანდა ზემოთ აღნიშნული სერვისით მათ დაინტერესებაზე, რათა მივაღწიოთ მთავარ მიზანს – „მკითხველის დაინტერესება და ცნობიერების ამაღლება“ .</p> <p>ცენტრის შემავალ ორგანიზაციებში ფუნქციონირებს 4 მუზეუმი. მუზეუმებში განთავსებულია 6875 ექსპონატი. მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში შეადგენს დაახლოებით 5000-მდე ვიზიტორს.</p> <p>მუზეუმები საჭიროებენ ინტერიერისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას თანამედროვე სტანდარტულ დონეზე.</p> <p>მიზანშეწონილია გადამზადდნენ მუზეუმის თანამშრომლები, აგრეთვე ჩატარდეს მოსახლეობაში პროპაგანდა ახალი სერვისების დანერგვის სიკეთეზე, მოვიზიდოთ ტურისტები და ავამაღლოთ მოსახლეობის ცნობიერების დონე.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>მოსწავლე-ახალგაზრდობაში სექციების, წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალურ რეგიონალურ და რესპუბლიკურ დონისძიებებში მონაწილეობის მიღება-სულ 100 აქტივობა. საგანმანათლებლო მიმართულებით ცენტრი მოემსახურება საშუალოდ 310 მოსწავლეს, მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს. მოსახლეობის კულტურული განვითარების ხელშეწყობის მიზნით არსებული – 1 საჯარო, 15 სასოფლო ბიბლიოთეკების, 4 მუზეუმის, 2 სოფლის კლუბის, 1 კულტურის სახლის, 1 გალერეის, 1 კოლხური „ტრიოს“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ინტერიერების მოწყობა თანამედროვე სტანდარტებით და სხვა.</p> | | |
| | სრულად სენაკის მოსახლეობის კულტურულ-ესთეტიკური დონის ამაღლება, ჯანსაღი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა სულიერად და ფიზიკურად. | | |

| | | | |
|--------------|------|---------------------------------------|------------------------------------|
| ქვეპროგრამის | კოდი | „ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|--------------|------|---------------------------------------|------------------------------------|



| დასახელება | 05 02 02 | ხელშეწყობის პროგრამა“ | 208,5 |
|---|--|-----------------------|-------|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“ | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქართული საზოგადოების ერთ-ერთი თვისება არის ხელოვნებისადმი ინტერესი. ეს უაღრესად დადებითი თვისებაა და მიუთითებს ერის ინტელექტუალურ განვითარებაზე. ხელოვნება არსებობს მხატვრულ ქმნილებათა სახით (არქიტექტურა, სასულიეროფერწერა, მუსიკა, ლიტერატურა, კინოდანსხვა) ხელოვნებას დიდი ადგილი უჭირავს ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობაში. ხელოვნება ცნობიერების ერთ-ერთი სფეროა, რომელიც სინამდვილეს მხატვრულად ასახავს და გარკვეულ ინფორმაციას გადასცემს საზოგადოებას.</p> <p>მომავალი თაობის პიროვნების აღზრდა და ჰარმონიული განვითარება, შეუძლებელია ხელოვნებასთან მისი ზიარების გარეშე. ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლა აღქმასა და გრძნობას აფაქიზებს, წარმოსახვის უნარს, შემოქმედებით მიდგომას და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს, რის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა.</p> <p>სენაკის მუნიციპალიტეტში ტრადიციული და ათანამედროვე ხელოვნების დარგების პოპულარიზაციისათვის შექმნილია ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“, რომელიც ახორციელებს სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს.</p> <p>ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“ის სისტემაში ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, სცენური ხელოვნების სახეობის-ბალეტის ჯგუფი. სამხატვრო და სამუსიკო სკოლებში მიმდინარეობს სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაცია. მოსწავლეთა მუსიკალური, სამხატვრო და საბალეტო აღზრდის მიზანია მოსწავლის სულიერი კულტურის ფორმირება. ბავშვებში მუსიკის, მხატვრობისა და ქორეოგრაფიისადმი სიყვარულისა დაინტერესის გაღვივება, საგნობრივი სწავლებით უნარის განვითარება. საგნობრივი პროგრამები გულისხმობს მჭიდრო კავშირს საგნებს შორის. ყოველი საგანი ცოდნას აწვდის მოსწავლეს და უვითარებს ს უნარ-ჩვევას, როგორც ინდივიდუალურად ასევე კოლექტიურად. სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ხელოვნების ნამუშევრების შესრულება და შექმნა, რადგანაც ამ ფარგლებში განათლება დაწყებულია.</p> <p>ცენტრში ფუნქციონირებს ადმინისტრაცია და პედაგოგიური საბჭო. ცენტრი საქუთარი საქმიანობის შემუშავებისას, დაგეგმასა და მისი რეალიზაციის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქუთარის წესდების, საქართველოს კულტურის განვითარების გრძელვადიანი „კულტურის ტრაგედია 2025“ და ხელოვნების სფეროში მოქმედი რეკომენდაციების და სხვა სამართლებრივი ნორმატივების თანახმად. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დირექციებთან და მოსწავლეებთან, მომიჯნავე სფეროების საჯარო და კერძო ოპერატორებთან. ცენტრი რეგულარულად ატარებს სხვადასხვა ხასიათის სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებებს, მონაწილეობს ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებსა და ფესტივალებში. ცენტრში შემავალი სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში იმართება გამოსაშვები და გადასაცვანი გამოცდები. სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ცენტრის სუბსიდიური დაფინანსება.</p> <p>სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა-სწავლის ხანგრძლივობა 7 წელი, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხურ საკრავთა ფასიანი ჯგუფები – სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია. ბავშვთა რაოდენობა სკოლაში შეადგენს 200 აღსაზრდელს. მშობელთა შენატანი თვეში:</p> <p>საესტრადო განყოფილებაზე 23 ლარი</p> <p>ფორტეპიანოზე 25 ლარი</p> <p>ვიოლინოზე 20 ლარი</p> <p>საგუნდოზე 20 ლარი</p> <p>ფუნქციონირებს საკრავების სწავლების ფასიანი ჯგუფები: გიტარა 20 და 25 ლარი.</p> <p>სამხატვრო სკოლაში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 50 ბავშვს. მშობელთა შენატანი თვეში 10 ლარია. სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები, ხოლო სემესტრის ბოლოს საერთო სასკოლო გამოფენა. გამოფენებში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები. წარმატებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან სიგელებით. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. საბალეტო ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა – 20 მოსწავლე.</p> <p>საბალეტო ჯგუფში, საბალეტო ცეკვის ძირითადი სახეობების კლასიკურს და სახასიათო საცეკვაო-მუსიკალური ფორმებს ეუფლება 17 მოსწავლე, მშობელთა შენატანი შეადგენს თვეში 25 ლარს.</p> <p>პროგრამა „ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია“, გულისხმობს ახალი თაობისათვის სამუსიკო და სახეობით სახელოვნებო განათლების მიღების შესაძლებლობას, ხელოვნების სხვა დარგების პოპულარიზაციას და დამატებითი ბენეფიციარების მოზიდვას, საგანმანათლებლო პროგრამებში მათ ჩართვას ინტეგრირებულ სწავლების მეთოდის გამოყენებით. ახალი სოციალური ხასიათის ინიციატივების განხორციელებას.</p> | | |
| პოპულარიზებულია ხელოვნების დარგები, სახელოვნებო სკოლოები გამართულად ფუნქციონირებენ, | | | |



| | |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | მიზნობრივი ჯგუფები სარგებლობენ კვლითი ციფრული პედაგოგთა მომსახურებით. განვითარებულია სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების უნარჩვევები, მხარდაჭერილია ფესტივალებსა და კონკურსებში მათი მონაწილეობა, იზრდება სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის რაოდენობა. პოპულარიზებულია ხელოვნების დარგები, სახელოვნებო სკოლები გამართულად ფუნქციონირებენ, მიზნობრივი ჯგუფები სარგებლობენ კვლითი ციფრული პედაგოგთა მომსახურებით. |
|--------------------|---|

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ღონისძიებების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|----------------------------------|----------------------------------|
| | 05 02 04 | | 29,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. „ეგრისობის“ დღესასწაულის ჩატარებას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|---|----------------------------------|
| | 05 02 06 | | 128,3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზის და ჟ.შარტავას სახელობის მუზეუმის რეაბილიტაციას. ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკის რეაბილიტაციას | | |
| მოსალოდნელი შედეგი | კმაყოფილი მოსახლეობა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|-------------------------------------|----------------------------------|
| | 05 03 | | 18,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | |
| | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: ტრენინგები ახალგაზრდებისათვის, საჯარო ლექციები, წიგნის მოყვარულთა კლუბის ჩამოყალიბება, ფილმების | | |



| | |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტული ღონისძიებებისა და დოკუმენტური ფილმების ჩვენების ორგანიზება ღია ცის ქვეშ, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, ექსკურსიების ორგანიზება, სხვადასხვა კონკურსების ორგანიზება, შშმ ახალგაზრდების ჩართულობის ორგანიზება სხვადასხვა ღონისძიებებში, ახალგაზრდული იდეების დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა. |
| ქვეპროგრამის მიზანია | სენაკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდებისათვის მოტივაციის ამაღლება, მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან. შშმ ახალგაზრდების ჩართულობა, წახალისებული ახალგაზრდების, შემცენებით ხონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|-------------------------------------|----------------------------------|
| | 05 05 | სენაკის მუნიციპალიტეტის მერია | ლარში 50,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სენაკისა და ჩხოროწყის ეპარქიის განვითარებისათვის ხელშეწყობა | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის სულიერების ამაღლება | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|-------------------------------------|----------------------------------|
| | 05 06 | სენაკის მუნიციპალიტეტის მერია | ლარში 34,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | შპს საინფორმაციო ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მასობრივი საინფორმაციო გაზეთის „კოლხეთის“, გამოცემა, საგამომცემლო საქმიანობის წარმოება-თვეში ორჯერ, წლის მანძილზე 24 ნომერი. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი მოვლენების, პროექტების, ინფორმაციული უზრუნველყოფა, საჯარო და კერძო სექტორის, მიმდინარე პროცესების აღწერა, დაფიქსირება, მკითხველთა აზრის გათვალისწინება, მათი ჩართულობა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეების, მნიშვნელოვანი პროექტების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების გასაჯაროებით მკითხველთა ცნობიერების ამაღლება და ა.შ. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა | | |

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის



ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ათასი ლარი

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 წლის დაზუსტებული პროგნოზი | |
|--------------------|--|--------------------------------|--|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1138,4 | |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 558,4 | |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 169,9 | |
| 06 01 02 | ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა | 345,0 | |
| 06 01 03 | მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება | 40,0 | |
| 06 01 04 | დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა | 3,5 | |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 580,0 | |
| 06 02 01 | მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა | 216,0 | |
| 06 02 02 | მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა | 53,4 | |
| 06 02 03 | ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა | 18,4 | |
| 06 02 04 | კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება | 18,7 | |
| 06 02 05 | სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა | 0,0 | |
| 06 02 06 | ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა | 53,0 | |
| 06 02 07 | სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა | 20,0 | |
| 06 02 08 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა | 29,4 | |
| 06 02 09 | სოციალური ღონისძიებების პროგრამა | 9,7 | |
| 06 02 10 | თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა | 35,0 | |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა | 80,9 | |



| | | | | | | | | | |
|----------|---|------|-----|-----|-----|------|-----|------|--|
| 06 02 12 | დღის ცენტრ აიპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება | 6,0 | | | | | | | |
| 06 02 13 | პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება | 24,5 | | | | | | | |
| 06 02 14 | პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში | | | | | | |
|-----------------------------|--|--------------------------------------|----------------------------------|--|--|--|--|--|--|
| | 06 01 01 | | 169,9 | | | | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.ა.ი.პ სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | | | | | | | |
| პროგრამის აღწერა | <p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აგრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. | | | | | | | | |
| პროგრამის მიზანი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; | | | | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება | | | | | | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება და თანადაფინანსება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში | | | | | | |
|-----------------------------|----------|--|----------------------------------|--|--|--|--|--|--|
| | 06 01 02 | | 345,0 | | | | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | | | | | | | | | |



| | |
|----------------------------|--|
| სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობაგაურესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. დახმარებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები წელიწადში ერთხელ, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ონკოლოგიურ პაციენტებისა და 18 წლამდე მოზარდის შემთხვევაში.</p> <p>ა)სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის (გარდა ესთეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) თანადაფინანსება ბენეფიციარებს, დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 800 ლარისა.</p> <p>ბ)გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე, მისი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე სამედიცინო ფორმა №100 და წინასწარ ანგარიშგაქტურას, სადაც განსაზღვრული იქნება ბენეფიციარის გადასახდელი თანხა.</p> <p>გ)სამკურნალო-სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>დ)მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების შემთხვევაში (მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია (MRT); კომპიუტერული ტომოგრაფია (CT); პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT)) თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ზაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე და ონკოლოგიურ პაციენტებზე. მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 30 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>დ)სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის გადასახდელი თანხა აღემატება 200 ლარს.</p> <p>სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №100; ანგარიშ-გაქტურა; კალკულაცია; მომართვა ჯანდაცვის მომსახურების სააგენტოდან ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან დაფინანსების ოდენობის შესახებ. (აუცილებლობას არ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო დაწესებულების მიერ ანგარიშ-გაქტურაშივე განსაზღვრულია პაციენტის მიერ თანადაფინანსებადი თანხა).შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე.</p> <p>გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე, მისი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე სამედიცინო ფორმა №100 და წინასწარ ანგარიშგაქტურას, სადაც განსაზღვრული იქნება ბენეფიციარის გადასახდელი თანხა.</p> <p>ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი | დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. |

| | | | |
|---------------------------------------|--|---|--|
| პროგრამის დასახელება | კოდი 06 01 03 | მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამა | 2019 წლის დაფინანსება ათას ლარში 40,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| | პროგრამის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. | | |



| | |
|----------------------------|--|
| | <p>ასოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსების განხორციელება 70 ლარის ფარგლებში</p> <p>ბ) ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა.</p> |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>გ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება 100 ლარის ფარგლებში.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამი წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100 და სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე.</p> <p>ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი სააფთიქო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი | დაავადებულთა მედიკამენტებით მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|--|---|----------------------------------|
| | 06 01 04 | | 3,5 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტიუობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) ამ პათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაზრდილია 990 მოზარდისათვის ხელმისაწვდომობა აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების პრევენციაზე. ჯანმრთელი მოზარდები | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
| | 06 02 01 | | 216,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა) სენაკის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი და მეურვეობას მოკლებული მოსახლეობის დღეში ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფა ყოველკვარტალურად ტკბილეულისა და სადღესასწაულოდ საჩუქრების გადაცემა. | | |
| | უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების | | |



| | |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამით შესაძლებელი იქნება 200 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა |
|--------------------|---|

| | | | |
|---------------------------------------|--|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 02 | | 53,4 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, სიღარიბის დასაძლევად და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენციისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალშვილიანი (4 და 4-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ყოველკვარტალური დახმარება თითოეულ ბავშვზე 40 ლარის ოდენობით;</p> <p>დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა (4 და 4-ზე მეტშვილიან 18 წლამდე ასაკის) ერთ-ერთმა მშობელმა (მეუღლემ, მზრუნველმა) მერიამ უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; მშობლის პირადობის მოწმობის (გარდაცვლილის შემთხვევაში – გარდაცვალების მოწმობის) ასლები; მეურვის (მზრუნველის) შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული მეურვეობისა და მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მეურვის (მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი; მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი; შვილების დაბადების მოწმობის ასლები.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება-გაძლიერება. | | |

| | | | |
|---------------------------------------|---|--------------------------|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ბავშვზე ზრუნვის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 03 | | 18.4 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>ა) დედ-მამით ობოლ ბავშვებზე (18 წლამდე) დახმარებას, კერძოდ, ყოველკვარტალურად ერთ ბავშვზე გაიცემა 150 ლარი (3 ბენეფიციარი)</p> <p>დახმარების მისაღებად დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვემ მერიამ უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი (ასლები); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს სენაკის განყოფილებიდან მეურვის ვინაობის შესახებ; მეურვის პირადობის მოწმობის ასლი.</p> <p>ბ) შვითათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულზე ყოველკვარტალურად 350 ლარის გაცემას (7 ბენეფიციარი)</p> <p>დაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც მითითებულია შესაზამისი სამედიცინო ჩვენება</p> <p>გ) ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა – ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახი, რომელმაც სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ და არის</p> | | |



| | |
|--------------------|--|
| | <p>მოლოდინის რეჟიმში მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვის ხელოვნური საკვების დაფინანსებას ერთ გაცემაზე არაუმეტეს 80 ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მისაღებად ოჯახის კანონიერ წარმომადგენლის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; ბავშვის დაბადების მოწმობა; მომართვა/ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ბავშვთა ხელოვნური კვებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად დარეგისტრირების თაობაზე. ანგარიშფაქტურა სააფთიაქო დაწესებულებიდან ხელოვნური საკვების მისაღებად;</p> |
| მოსალოდნელი შედეგი | ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება. |

| | | | |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 04 | | 18,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, კერძოდ; გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახზე 200 ლარი; ომის ვეტერანის ოჯახზე 250 ლარი.</p> <p>სარიტუალო მომსახურების თანხის მისაღებად გარდაცვლილი დევნილის მოქალაქის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გარდაცვალების მოწმობის ასლი; გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი; ასევე სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.</p> <p>სარიტუალო მომსახურების თანხის მისაღებად გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის წევრის მიერ მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; გარდაცვლილის ომის მონაწილის პლასტიკური ბარათის ქსეროასლი; ომის ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი. ასევე სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და დევნილი ოჯახის წევრებს გაეწევა მატერიალური დახმარება. | | |

| | | | |
|---------------------------------------|---|---|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 06 | | 53,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ: სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 3000 ლარის ოდენობით; ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1000 ლარით. დახმარების მისაღებად დაზარალებულმა მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; აქტი (ხანძრის შესახებ), გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ.სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ; ცნობა (ხანძრისშესახებ), გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ.სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ; ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ (განცხადების განმხილველი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში). ასევე სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.</p> | | |



| | |
|--------------------|--|
| მოსალოდნელი შედეგი | 10 ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის დახმარება-არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება |
|--------------------|--|

| | | | |
|---------------------------------------|--|--|----------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 07 | | 20,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | |
